

# ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობა

და

## მისი განვითარების კონცეფცია

ავტორები : ზაზა ფირალიშვილი, ლანა ლოლობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი,  
თეიმურაზ გოცაძე, ქეთევან ფეიქრიშვილი, შოთა გლურჯიძე, ლელა  
ფირალიშვილი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, გოგი ჭიჭინაძე

2012 წელი

შესავალი

თანამედროვე გაგებით, ცნება «კულტურა» განსაზღვრავს საზოგადოების სულიერი განვითარების მდგომარეობას, განაპირობებს ერის, როგორც ერთიანი კულტურული ფენომენის არსებობას, როგორც საერთო ენის, მენსიერებისა და იდეის მატარებელ საზოგადოებრივ ერთობას.

დღევანდელი ქართული ცნობიერება მეოცე საუკუნის მძლავრი კატაკლიზმების შედეგად ჩამოყალიბდა. ბოლო ათწლეულების მუდმივმა პოლიტიკურმა შეჯახებებმა საბედისწეროდ გახლიჩა საზოგადოება, დაწერა შეუწყნარებლობა, ექსტრემიზმი, ადვილი აგზნებადობა, სიძულვილი სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ და საერთო ჯამში – ნიჰილიზმი ყველასა და ყველაფრის მიმართ.

სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ტურბულენტური სიტუაციების შესწავლამ ევროპელი მკვლევარები მიიყვანა დასკვნამდე, რომ პოლიტიკური დაპირისპირებები, აგრესია და ომები კი არ იწვევს კულტურის კრიზისს, არამედ პირიქით, შეურიგებლობა, აგრესია და ომები კულტურის კრიზისის შედეგია. თუ დავეთანხმებით ამ პოსტულატს, ნათელი გახდება, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურის როლი ერის, საზოგადოების გაჯანსაღებისა და გამთლიანების პროცესში.

პარადოქსულად, დიქტატურისა და უმძიმესი იდეოლოგიური წნეხის პირობებში, საბჭოთა საქართველოში მაინც ღვიოდა ეროვნულ ძირებზე დამყარებული კულტურული ცხოვრება.

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარების დღიდანვე, აშკარა გახდა სიმნელეები, უპირველესად ფინანსური, რომლებიც კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას ემუქრებოდა. ამ გამოწვევებს გააზრება და მათთან შეჭიდებას დიდი ძალისხმევა და სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდებოდა. დღეს ნათელია, რომ ქვეყნის ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა კულტურის ადგილი და მნიშვნელობა მისი მომავლისათვის. სისტემური სახელმწიფოებრივი ზრუნვის გარეშე დარჩენილი კულტურა, გლობალური მასკულტურის გამოწვევების ფონზე, თანდათან

გადარიბებისა და დაცემის გზას დაადგა. “ვარდების რევოლუციამ” სპეციფიკური და კიდევ უფრო არასახარბიელო სიტუაცია შექმნა: უმაღლეს ხელისუფალთა პოზიცია მკვეთრად უარყოფითი აღმოჩნდა საბჭოთა პერიოდში, მოღვაწე ხელოვანთა და მათი შემოქმედების მიმართ, რაც ზოგადად ეროვნული კულტურისადმი ნიჰილიზმში გადაიზარდა. შეჩერდა ყოველგვარი კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი უწყვეტობა. გამეფდა პოლიტიკური მიდგომით – “ჩვენის” და “არაჩვენის” – პრინციპით განპირობებული ვოლუნტარიზმი და მეტიც, ხელოვნების მთელი დარგები პოლიტიკურ პერსონათა გემოვნების კონიუნქტურაზე აღმოჩნდა მორგებული.

დღეს საქართველო კიდევ ერთხელ დგას გზისგასაყარზე. ის ან რეალურად დაიმკვიდრებს ადგილს ცივილიზებულ სამყაროში, ან საბოლოოდ დარჩება მის განაპირას, როგორც ისტორიულ შანსს აცდენილი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავხდეთ დასავლური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის საწინდარი ჩვენი ძველთაძველი, თვითმყოფადი, თავისებური კულტურაა.

საუკუნეთა მანძილზე, ქართველი ერი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ენასა და კულტურაში ახდენდა. დღესაც, ამ საბედისწერო გზისგასაყარზე, აუცილებელია გავიაზროთ კულტურა, როგორც ფენომენი, რომელსაც ეროვნული იდენტობისთვის და ქართული სახელმწიფოს ერთიანობისათვის სტრატეგიული დანიშნულება აქვს.

ეთნოსთა, რელიგიათა, ენათა სიმრავლე საქართველოს განსაკუთრებულ ვალდებულებებს აკისრებს. არასწორი პოლიტიკის შემთხვევაში ეს მრავალფეროვნება მის აქილევსის ქუსლად შეიძლება იქცეს (და არაერთხელ ქცეულა კიდევ), ხოლო თანამედროვე, ჰუმანიზმის პრინციპებზე დამყარებული მიდგომის შედეგად – გაფურჩქვნისა და მიმზიდველობის წყაროდ; განსხვავებულის მიმართ ტოლერანტობა ოდითგანვე ქართული კულტურის ნიშანი იყო (მაგალითებად შუშანიკი და აბო თბილელიც გამოგვადგება). დღესაც ჩვენი პოლიტიკის ერთერთი კონკრეტული პრიორიტეტი უნდა იყოს აფხაზებისა და ოსების როლის აღიარება ქართული კულტურის შენებაში, რაც ქვეყნის გამთლიანების მნიშვნელოვან საწინდარს შექმნის.

მაგრამ იმისათვის, რომ თანამედროვე სამყაროში ერის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი კულტურა განვითარდეს და გაღრმავდეს, მას შესაფერისი გარემო სჭირდება. დღევანდელ დღეს, ანუ ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც კაცობრიობამ საკუთარ თავზე იწვინა ყველანაირი შეფერილობის დიქტატურების თუ ერთპიროვნული მმართველობების კატასტროფული შედეგები, ნათელი ხდება, რომ კულტურის განვითარებისთვის ასეთი ერთადერთი და აუცილებელი გარემო დემოკრატიას. ანუ: თავისუფალ პიროვნებათა შემოქმედებითი ძალების თავისუფალი რეალიზაციის შესაძლებლობა.

ჩვენი მიზანია არ გავუშვათ ხელიდან, ალბათ, ის უკანასკნელი ისტორიული შანსი, რომელიც გვაქვს დღეს. ამისათვის უნდა განვიხილოთ საქართველო, როგორც: საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა იმპერიის მიერ დაპყრობილი და სახელმწიფოებრიობადაკარგული, მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე პატარა ქვეყანა, რომელმაც – უკვე მეოცე საუკუნეში – ვერ გაუძლო დამოუკიდებლობის გზაზე კანონზომიერად აღმოცენებულ ცთუნებებს და სხვადასხვა ხაფანგში გაყო

თავი, რამაც სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა და საზოგადოების საბედისწერო გახლეჩა გამოიწვია. მაგრამ ამ ისტორიულად დეტერმინირებულ ტრაგიზმს უპირისპირდებოდა და უპირისპირდება: ქართველთა მიერ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე აღიარებული “პირველქმნილი, სახარებისეული ქრისტიანობა, რომელშიც მძლავრად ჟღერდა თავისუფლების მოტივი” (მამარდაშვილი), საინტერესო გეოპოლიტიკური მდებარეობა, მიმზიდველი ლანდშაფტი, და რაც მთავარია: უნიკალური სამიათასწლოვანი კულტურა, მაღალი და ყოფითი (ნიშანდობლივია, რომ ხორბლის მსოფლიოში ცნობილი 8 ჯიშიდან 4 ქართულია, რომ ვაზის, ანუ ცივილიზაციის საფუძვლის, აკვანი – საქართველოა) და კიდევ ერის თვისებები: თავისუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა, სიცოცხლის და სიხარულის უბადლო ნიჭი, კრეატიულობა და არტისტიზმი, შემწყნარებლობა, ანუ ის ყველაფერი, რამაც გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე, როგორც ცივილიზებული სამყაროსთვის მიმზიდველი სულიერი ერთობა.

ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია: საზოგადოებამ და ხელისუფლებამ გაიაზროს დემოკრატია და კულტურა, როგორც ერთმანეთთან შერწყმული და ერთმანეთის გამამდიდრებელი მოვლენები და მათი ერთდროული განვითარება ქვეყნის გამთლიანების, შენების და მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების სტრატეგიულ პრიორიტეტად გამოაცხადოს.

## **კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა**

### **ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობა**

#### **1. დღევანდელი მდგომარეობის კონსტატაცია**

##### **ამოსავალი დებულებები**

არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ გააჩნია კულტურის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა, კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რაც განაპირობებს ქალტურ სიტუაციას კულტურის ყველა სფეროში და დარგების არათანაბარ განვითარებას. უკიდურესად მცირეა ბიუჯეტიდან კულტურისა და, კერძოდ, ხელოვნებისთვის გამოყოფილი თანხა.

არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც უნდა დაარეგულიროს კულტურის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, განსაზღვროს მათი აღსრულების მექანიზმები და უზრუნველყოს კულტურის ყველა სფეროს თანმიმდევრული განვითარება.

უგულებელყოფილია გადაწყვეტილებების დემოკრატიულად მიღების პრინციპები და კულტურის მართვა მიმდინარეობს ვოლუნტარისტულად, ცალკეული პირების გემოვნების კვალდაკვალ, ობიექტურად არსებული კანონზომიერებებისა და პირობების გათვალისწინებლად.

არ მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა კულტურის განვითარების სტრატეგიების შემუშავების პროცესში.

## არქიტექტურა

“როდესაც ვხედავ, რომ დიდი ღირებულების მატარებელი ცოდნა – არქიტექტურა – მიგდებულია იმგვარ უსწავლელთა და უმეცართა სამოღვაწეოდ, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი წარმოდგენა არათუ არქიტექტურაზე, არამედ თუნდაც მის პრაქტიკულ სარგებელზე, შეუძლებელია არ გაამართლო უბრალო მოქალაქეები, რომლებიც თვითნებურად იშენებენ სახლებს”.

ასე აფასებდა ვიტრუვიუსი, ამ ოციოდე საუკუნის წინ, ურბანულ ვითარებას საკუთარ ქვეყანაში. ბედის ირონიით ზუსტად ამგვარი ვითარება ჩამოყალიბდა დღეს ქართულ სინამდვილეში. არქიტექტურაში ისევე, როგორც მთლიანად ვიზუალურ ხელოვნებაში, განსაკუთრებულად მწვავედ იჩენს თავს არსებული ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი მანკიერებანი: ვოლუნტარიზმი, გაუმჭვირვალობა (როდესაც საჯაროდ უცნობია გადაწყვეტილების მიმღები პირი თუ პირთა ჯგუფი), კანონის არარსებობა ან არსებულის უგულებელყოფა.

ურბანულ პოლიტიკაში გამოკვეთილი ღრმა კრიზისი ზიანს აყენებს ჩვენი ქალაქების საარსებო გარემოს და გადაულახავ დაბრკოლებას უქმნის ქვეყნის ჯანსაღი ტერიტორიული განვითარების პერსპექტივას.

კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობის ნგრევად უნდა შევაფასოთ დღეს გამეფებული ტენდენცია, მიმართული ე.წ. ძველ, ანუ საბჭოთა ეპოქაში არსებული გარემოს ნგრევაზე, რასაც ხელისუფლება იდეოლოგიური მოტივით ამართლებს. ეს ტენდენცია ხორციელდება ინვესტორებთან არაგამჭვირვალე (შესაძლოა კორუფციული) გარიგებებით, რაც იწვევს თბილისის საკუთარი სახის დაკარგვას და საზოგადოების ბუნებრივ აღელვებას. ამგვარი ქმედების ყველაზე ხელშესახები მაგალითია ცნობილი არქიტექტურული ძეგლის – შჩუსევის დაპროექტებული ყოფილი იმელის შენობის – ნაწილობრივ დანგრევა და ე. წ. რეკონსტრუქცია, რომელიც მნიშვნელოვნად დააზარალებს რუსთაველის გამზირის ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ იერს. საზოგადოებისთვის უცნობია, რა სამუშაოები ტარდება “იმელის” გვერდით მდებარე, ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე ტელეგრაფის შენობაში – დღეს ის გამოშიგნულია, სვეტებით შექმნილი სასიარულო სივრცე – ამოშენებული. მიუღებელია პირველი სკოლის უკან 14 – სართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება, რომელიც თავისი დამთრგუნავი ზომებით სახეს უკარგავს მთელ უბანს.

ასევე, აღსანიშნავია თბილისის ძველი უბნების თვითნებური გადაკეთების მცდელობები, ამ მომენტში საფრთხის ქვეშ დგას დედაქალაქის ერთერთი ულამაზესი კუთხე – გუდიაშვილის მოედანი.

უამრავი პრობლემაა ქალაქგეგმარებაში. ჩამოვთვლით რამდენიმე მაგალითს: ვერის პარკის მიმდებარე საცხოვრებელი სახლების მთელი კასკადი, რომელიც ანგრევს არსებულ გარემოს და სივრცეს.

ბარნოვის ქუჩის – ჩინეთის საელჩოს მიმდებარე – მონაკვეთის მასშტაბის სრული იგნორირება და ფაქტობრივად “სარკოფაგად” ქცევა. ელბაქიძის ქუჩის მიმდებარე, ყოფილი საქანელას ქუჩის გაქრობა, რომელიც გამოირჩეოდა თბილისისთვის დამახასიათებელი უნიკალური ინფრასტრუქტურითა და ნიშნებით. ეს ტერიტორია და ყოფილი განაშენიანება სრულად წაშლილია ქალაქის რეალობიდან.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ქალაქგეგმარების კონტექსტიდან და მასშტაბიდან ამოვარდნილი მთელი რიგი საცხოვრებელი სახლების განაშენიანებები, რომლებიც არამარტო არსებულ გარემოსთან მოდიან კონფლიქტში, არამედ გარშემომყოფი ადამიანების ფსიქიკაზე და გემოვნებაზეც უარყოფითად ზემოქმედებენ.

ათი წელიწადია თბილისის ცხოვრობს განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის გარეშე.

თბილისის განვითარების გრძელვადიანი გეგმები თავის დროზე დამუშავდა “თბილქალაქპროექტში”, სადაც თავმოყრილი იყო ქალაქმშენებელთა პროფესიული კადრები, ისევე, როგორც საპროექტო ინსტიტუტში “საქქალაქმშენპროექტი”. აქ ათეული წლების მანძილზე იქმნებოდა საქართველოს დიდი, საშუალო და პატარა ქალაქების გენერალური გეგმები, დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები. ინსტიტუტი დღეისათვის აღარ არსებობს, კადრები გაიფანტა. სამეცნიერო კადრები მოღვაწეობდნენ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში “თბილზნიეპი”, რომლის სამეცნიერო შრომები აღიარებული იყო საერთაშორისო დონეზე. ეს ინსტიტუტი აღარ არსებობს. სამეცნიერო კადრებიც დაიკარგა.

გაუქმდა მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზა.

არქიტექტურაში ერთ-ერთი უმთავრესია ლანდშაფტთან დამოკიდებულება და მასში ორგანულად ჩართვა. ლანდშაფტის უნიკალურობით ჩვენს დედაქალაქს ნამდვილად გამორჩეული ადგილი ეკავა მსოფლიოს მრავალ ქალაქთან შორის. მის მიმართ გამოვლენილი ყოველი არაგონივრული და გაუაზრებელი მოქმედების თვალსაჩინო მაგალითად ცირკის უნიკალური ბორცვის – ბუნებრივი წარმონაქმნის – მესამედი ნაწილის მოხლეჩა გვევლინება.

## სახვითი ხელოვნება

საბჭოთა კავშირის დანგრევამ, მრავალ სხვა სისტემასთან ერთად, სახვით ხელოვნებაში არსებული სისტემებიც მოშალა. დღესდღეობით, საბაზრო ეკონომიკა თავისთავად არეგულირებს მოთხოვნას შემოქმედზე, რაც განაპირობებს მხატვრის როლის საგრძნობლად შეზღუდვას და უმეტეს შემთხვევაში, ამ პროფესიის უგულვებელყოფას. ობიექტური პირობებით გამოწვეული სიძნელეები კიდევ უფრო დაამძიმა გარდამავალ პერიოდში გატარებულმა ქოტურმა რეფორმებმა და იმ პოზიტიურის გაქრობაც გამოიწვია, რაც, პირიქით, განვითარებას და გაღრმავებას საჭიროებდა.

ვოლუნტარიზმის მაგალითებს ვაწყდებით ხელისუფლების ფუნქციონირების პრაქტიკულად ყველა ეტაპზე, როდესაც საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ძეგლები, მონუმენტები, ქანდაკებები აიგება ან იდგმება თვითნებურად, სპეციალისტთა და საზოგადოების აზრის გათვალისწინებლად, როდესაც გაუგებარია, ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი. საკმარისია გავიხსენოთ ე.წ. პრომეთეს ძეგლი ცირკთან, რომელიც იმდენად მიუღებელი იყო ესთეტიკურად, რომ თვითონ ხელისუფლება გახდა იძულებული აეღო იგი, თუმცა მას მაინც უპოვეს ადგილი (ბორჯომში).

საზოგადოების თვალწინ, თანმიმდევრულად, მიმდინარეობს დამანგრეველი და შეუქცევადი პროცესი: ორგანული ვიზუალური ფორმების ბუტაფორულ ყალბ ფორმებში ჩასმა, ვითომდა რესტავრაციის საბაზით. ეს პროცესი დაიწყო სიღნაღიდან და მას მერე საზოგადოებაში დამკვიდრდა კიდევაც ახალი ცნება – “სიღნაღიზაცია”, რომლის გამოვლინებებს ვხედავთ მცხეთაში, ბათუმში, დიდ თუ პატარა დასახლებებში. განსაკუთრებით დრამატულია ამ მხრივ სვანეთის და კერძოდ მესტიის ბედი, რომელიც დღემდე რჩებოდა ვიზუალური კულტურის თავისებურ ნაკრძალად.

უმძიმეს მდგომარეობაშია ჩაყენებული ვიზუალური კულტურის ერთერთი შემომქმედი – მხატვარი. ის ფაქტობრივად დაუსაქმებელია სახელმწიფოს მხრიდან, დაუცველია სოციალურად და შემოქმედებისათვის აუცილებელი მოტივაციის გარეშეა დარჩენილი.

აღარ არსებობს საგალერეო შემოქმედებითი ცხოვრება – გაუქმდა მხატვრის სახლი, ფუნქცია დაკარგა ეროვნულმა საგამოფენო დარბაზმა, ქვეყანაში არ არსებობს თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

## პროფესიული თეატრი

ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ქართული თეატრის ისტორიული მისია: მაჩაბლის დასი იყო პირველი დასი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც სამშობლოს დაცვას შეეწირა; ილია ჭავჭავაძემ ქართულ თეატრს ქართული ლიტერატურული ენის ცოცხალი საწვავის ფუნქცია მიანიჭა. მე-19 საუკუნიდან დაწყებული, ქართული თეატრი ფუნქციონირებდა, როგორც ნაციონალური ნარატივის, ანუ ნაციის ცხოველმოქმედების საბოლოო პროდუქტი და ნაციონალური კულტურის ფლაგმანი.

90-იან წლებში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები კულტურის ყველა სფეროს შეეხო, მათ შორის ქართულ პროფესიულ თეატრსაც. სახელმწიფო დოტაციის გარეშე დარჩენილმა თეატრმა, მალევე დაკარგა სრულფასოვანი მუშაობის უნარი. უსახსრობის გამო, დიდი ხნის განმავლობაში ვედარ იქმნებოდა ახალი პროდუქტი, ხოლო ენერგოკრიზისი, არსებული სპექტაკლების წარმოდგენას, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდიდა. მოსახლეობაც უდიდესი სოციალური პრობლემების წინაშე დადგა, რაც პირდაპირ აისახა მათი კულტურული ცხოვრების აქტივობაზე. წლების მანძილზე თეატრი მაყურებლის გარეშე დარჩა. სიმბოლური ანაზღაურებითა და მწირი შემოქმედებითი ნაყოფიერებით, სტაგნაციის პირობებში მყოფმა რამდენიმე თეატრმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა, მათ შორის

თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრებმაც, რომელთა მეშვეობით ხდებოდა ახალი თაობების თეატრალურ სამყაროსთან ზიარება და გემოვნების ჩამოყალიბება.

ბოლო წლებში, დედაქალაქში სათეატრო შენობების მოწესრიგებამ, მათი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვამ და სადადგმო ხარჯების ხელშეწყობამ, საგრძნობლად გამოაცოცხლა თეატრალური ცხოვრება, თუმცა, ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი უამრავი საორგანიზაციო, ტექნიკური, ფინანსური, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ხასიათის პრობლემა. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ მხოლოდ ტექნიკური დახმარება არ არის საკმარისი, თუკი თეატრალური განათლებისა და თეატრების მართვის მიმართულებით არ შეიცვლება არსებული მდგომარეობა.

განსაკუთრებულად შემაშფოთებელია მმართველი პარტიის ჩარევა, როგორც თეატრების მართვაში, ასევე მათი რეპერტუარის განსაზღვრაში (მიკერძოებული დაფინანსება, დაკვეთა). სამწუხაროა, რომ საბჭოთა ქართული თეატრი, რომელიც სახელმწიფო ცენზურის პრესინგს განიცდიდა, მაინც შემოქმედებითად უფრო თავისუფალი იყო, ვიდრეა დღეს...

იდეოლოგიური წნეხის ერთერთი მაგალითია საზოგადოებაში პოპულარული თეატრის - სარდაფის დახურვა. დღეს თეატრები, კომერციული ინტერესების ("საკასო" სპექტაკლები), შემოსავლების ზრდის გათვალისწინებით უფრო ვითარდებიან, ვიდრე შემოქმედებითი ძიებების, სიღრმისეული წვდომის, პრობლემების მხატვრულად გააზრების გზით. ამის შედეგია, რომ ქართულ თეატრში ახალი იდეების, ფორმების, ინიციატივების, გამომსახველობითი საშუალებების სიმწირე იგრძნობა. სახეზეა პროფესიონალიზმის ვარდნა, თანამედროვე ქართული დრამატურგიის პასიურობა, უკონცეფციო სპექტაკლების სიმრავლე და მაყურებლის გემოვნების დევალვაცია. თეატრალური კრიტიკის არარსებობა კი ნამდვილი ხელოვნების განადგურებას, ერთფეროვნულობას, მდარე ხარისხის შტამპების დამკვიდრებას, იაფფასიან წარმატებას და მის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

დღევანდელი გაგებით, თეატრი აღიქმება, როგორც ბიზნესი, ამდენად, მისი მუშაობის განმსაზღვრელია კომერციული საწყისი. უარყოფილია დაგეგმვა, ხოლო დაუსაბუთებელი დაფინანსება მოქმედებს, როგორც ცენზურის ინსტრუმენტი, ანუ ვაფინანსებთ მხოლოდ ჩვენებს და ჩვენთვის ("ქეთო და კოტე").

თეატრში შემოდებულია მმართველის ინსტიტუტი, რომელსაც ახალი კომისრის პოსტი შეიძლება ვუწოდოთ (ამ დებულების მაგალითია მმართველების მიერ ქართულ ქველმოქმედებაზე უარის თქმა).

თეატრების მართვა მიმდინარეობს სტიქიურად, კონცეფციის გარეშე. მიზანმიმართულად მიმდინარეობს თეატრებისთვის მაცოცხლებელი ქველმოქმედების აკრძალვა.

ყოველივე ამის შედეგად ახალი თაობისთვის, ხშირ შემთხვევაში, გართობისა და დასვენების უფრო მომხიბვლელი ადგილებად ბარები, ღამის კლუბები, საბილიარდოები, ბოულინგები და რესტორნები გადაიქცა, ხოლო ბილეთის მაღალი ფასი გამო, თეატრში ოჯახური დასწრება ხელმიუწვდომელია.

რეგიონების თეატრებში კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა. თუ არ ჩავთვლით თელავის, ბათუმისა და ქუთაისის თეატრებს. აღნიშნულ პრობლემებს ემატება ამორტიზებული შენობების, მოუწესრიგებელი ტექნიკური ბაზის, სატრანსპორტო საშუალებების, ელექტრომომარაგებისა და გათბობის საკითხები.

ასევე, დამდგმელ რეჟისორთა და ახალგაზრდა სამსახიობო კადრების დეფიციტი. თეატრები იძულებულნი არიან დასი მოყვარულებით შეავსონ.

რაიონებში და სოფლებში მცხოვრები საზოგადოებისთვის თეატრალურ ცხოვრებასთან ზიარება, სატელევიზიო დადგმებით (ტელე-სპექტაკლებით) „სატელევიზიო თეატრის“ საშუალებით და ასევე სპექტაკლების ჩანაწერებით იყო შესაძლებელი, რომელთა ტრანსლირება საზოგადოებრივი მაუწყებლის – 1 არხის მეშვეობით ხდებოდა. დღევანდელი ტელევიზია გაჯერებულია აგრესიული მხატვრული თუ მულტიპლიკაციური ფილმებით, დაბალი გემოვნებისა და ხარისხის სერიالებით, უსარგებლო გასართობი შოუებით (მაგ. კომედი შოუ), რაც ასევე ხელს არ უწყობს საზოგადოების გემოვნების ჩამოყალიბებას.

## კინო

ყველასათვის ცნობილია, რა როლი ითამაშა ქართულმა კინომ ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში. რაგინდ საოცრადაც უნდა ჟღერდეს, საბჭოთა სისტემის შიგნით, იდეოლოგიური წნეხის და ცენზურის პირობებში, კინემატოგრაფისტთა სხვადასხვა თაობების ძალისხმევით, შეიქმნა მსოფლიოში აღიარებული ქართული კინოს ფენომენი. (ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო კინომცოდნეობასა და კრიტიკაში ის მოიხსენიებოდა, როგორც ეროვნული – ქართული და არა საბჭოთა კინო). დღეს ის, როგორც ხელოვნების სხვა დარგები, დეგრადაციას განიცდის.

არსებობს “საქართველოს კანონი ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” (ფრანგულ სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია, თუმცა შესასწავლია და გამოსაყენებელი იმ პატარა ქვეყნების კანონმდებლობაც, რომელთაც ბოლო პერიოდში წარმატებას მიაღწიეს, - ფინეთი, ნორვეგია, დანია, ბელგია). კანონი შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის მიერ ქართველი კინემატოგრაფისტების მონაწილეობით. ვფიქრობთ, კანონში გათვლილი სახელმწიფოს და კერძო სექტორის უფლება-ვალდებულებები ეროვნული კინოს განვითარებისათვის ამ ეტაპზე მისაღებია. მაგრამ ის რეალურად არ ხორციელდება, ვინაიდან ხელისუფლება არ ანიჭებს კინოს სათანადო მნიშვნელობას. სახელმწიფოს მხრიდან კინოცენტრის მეშვეობით კინოწარმოებისათვის გამოყოფილი ყოველწლიური თანხა უმცირესია, რაც შესაბამისად აისახება გადაღებული ფილმების რაოდენობასა და ხარისხზე. 2004 წლიდან 2011 წლამდე, კინოფილმების წარმოებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა დაახლოებით 11 000 000 ლარი. 8 წლის მანძილზე გადაღებულია (კინოცენტრის წილობრივი დაფინანსებით 75%-მდე) 28 დოკუმენტური, 19 მხატვრული და 11 ანიმაციური ფილმი, სულ – 58 ფილმი.

შედარებისთვის: მხოლოდ 1990 წელს, გადაღებული იყო: მხატვრული ფილმი – 17; დოკუმენტური – 12 + 100 ქრონიკალური სიუჟეტი; ანიმაციური ფილმი – 8; სატელევიზიო ფილმი – 31; სულ – 68 ერთეული!

2005 წელს, გააუქმეს სატელევიზიო ფილმების სტუდია “ქართული ტელეფილმი”, რომლის რეპერტუარის უდიდესი ნაწილი საგანმანათლებლო და ეროვნულ თემატიკას ეძღვნებოდა.



არის საშიშროება ეროვნული კინოსაგანძურის გაქრობისა (თანამედროვე ფილმსაცავის არარსებობა); არ არის დაცული საავტორო უფლებები (საკანონმდებლო ნაკლოვანებები; მეკობრეობა, რომლის საწინააღმდეგოდ არ ხდება კანონის აღსრულება); არ მოქმედებს საგადასახადო შეღავათების სისტემა (კულტურის და ფინანსთა სამინისტროებში შეტანილია შემუშავებული რეკომენდაციები) და ეროვნული სავაჭრო ქსელი.

აღსანიშნავია კინოთეატრების სიმცირე, დამაფიქრებელია რეპერტუარის პრობლემა. დღეს სულ სამი კინოთეატრია თბილისში, ქვეყანაში არ მუშაობს კინოთეატრების სისტემატური ქსელი.

## ლიტერატურა

დღევანდელ ქართულ სალიტერატურო პროცესს ყველაზე მეტად სრულყოფილი კრიტიკა აკლია. ლიტერატურულ პრესაში იშვიათად თუ გამოჩნდება ობიექტური კრიტიკული წერილი. ქართველი მკითხველი, ფაქტობრივად, ახალი ქართული, თუ თარგმნილი ნაწარმოების შეფასების გარეშეა დარჩენილი, რაც აღარბეებს და აკნინებს მთლიანად ლიტერატურულ პროცესს.

დღევანდელი სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა ავტორს ჰონორარს მხოლოდ მოგების შემთხვევაში უხდის. მძიმე მდგომარეობაშია საბავშვო მწერლობა. ზოგი გამომცემლობა იმ შემთხვევაში გამოსცემს საბავშვო ავტორების წიგნებს, თუ ისინი ჰონორარს არ მოითხოვენ.

მწერლებსა და სახელმწიფოს შორის წლების მანძილზე მიმდინარეობს დავა მწერალთა სასახლის გარშემო. როგორც ცნობილია, დღევანდელი ხელისუფლების მითითებით, სამართალდამცველები ძალით შეიჭრნენ მწერალთა სასახლეში და კანონიერი მეპატრონეები გამოყარეს, რასაც საზოგადოების პროტესტი მოყვა. თუმცა დაპირებების მიუხედავად, საკითხი დღემდე მოგვარებული არ არის.

## კულტურული მემკვიდრეობა

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროცესი არ ხორციელდება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო ინსტიტუციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერების გამოცხადება ხდება ფორმალურად, სამუშაოებს კი, ახორციელებს არქიტექტორ-რესტავრატორთა ერთი და იგივე, სააგენტოს ხელმძღვანელობასთან დაახლოებული ჯგუფი.

დეცენტრალიზაციის საპირისპიროდ, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში 2004-2008 წლებში განხორციელებული არასწორი გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შექმნით, მუზეუმებს და მუზეუმ-ნაკრძალებს გაუუქმდა სტატუსი, ისინი იქცნენ “მონსტრი” ინსტიტუციების სტრუქტურულ ქვედანაყოფებად, რამაც გაართულა მათი მენეჯმენტის პროცესი.

ფაქტობრივად არ არსებობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კულტურათა დიალოგს ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

არ ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგების (ზეპირსიტყვიერება, ხალხური რეწვა, ტრადიციული მუსიკა, რიტუალები, ადათ-წესები და სხვა) კვლევის, პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამები.

## მუსიკა

დღევანდელ საქართველოში, კულტურული პოლიტიკა არაა მიმართული სამუსიკო ხელოვნების დარგების განვითარებაზე. ისინი ვითარდებიან ცალკეული პროექტებით და გრანტებით – პროექტიდან პროექტამდე. მუსიკაში ისევე, როგორც სხვა სახელოვნებო დარგებში, გამეფებულია ფასადური პოლიტიკა. აღარ არსებობს ფილარმონიული ცხოვრება, რომელიც უახლოეს წარსულში საპროდიუსერო ფუნქციას ასრულებდა.

ხდება სფეროების, კერძოდ, ორკესტრების, მონოპოლიზება, რაც, თავისთავად, განვითარების შემაფერხებელია. მონოპოლისტები კი, ან ისინი არიან, ვისაც ხელისუფლება წყალობს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ისინი, ვინც ლოიალურნი არიან ხელისუფლების მიმართ. უზარმაზარი თანხები იხარჯება საჩვენებელ კონცერტებზე, რაც ქართული მუსიკის განვითარებისათვის ვერაფერს იძლევა.

სერიოზული პრობლემები დგას ქართული საკომპოზიტორო სკოლის წინაშე. თუ გასულ საუკუნეში გვყავდა 50-იანელთა, 60-იანელთა, 70-იანელთა თაობა, 80-იანი წლებიდან ცალკეული სახეებიც კი არ ჩანს. ქართული საკომპოზიტორო სკოლის კრიზისი ნათლად გამოჩნდა შარშან, კომპოზიტორთა კონკურსსა და ქართული თანამედროვე მუსიკის კონცერტების დროს.

ტელევიზიას არ ჰყავს ორკესტრი, რომელიც სწორედ ქართული მუსიკის პოპულარიზაციას და ახალი ქართული ნაწარმოებების ჩაწერას უნდა ემსახურებოდეს.

მოხდა წყვეტა თაობებს შორის, კულტურა კი მემკვიდრეობითობის გარეშე წარმოუდგენელია.

## მედია

სახელმწიფოს საინფორმაციო საშუალებები ვერ ქმნიან ქვეყნის კულტურული ცხოვრების რეალურ სურათს. კულტურული მედია და პრესა ხელს არ უწყობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროებში ძლიერი, მიუკერძოებელი და აკადემიური კრიტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოში ტელესივრცე პოლარიზებულია – ნამდვილი უფსკრულია სახელისუფლებო და ოპოზიციურ ტელევიზიებს შორის. უმუშევრობამ და გაჭირვებამ

ადამიანები გარესამყაროს კულტურულ ცხოვრებას მოწყვიტა და ტელევიზორებს მიაჯაჭვა. რეგიონები მხოლოდ სახელისუფლებო ტელევიზიების ამარაა დარჩენილი, რომლებიც ადამიანებს ვირტუალურ სამყაროში ამყოფებს და საეჭვო ფასეულობის ტელესერიალებით და შოუპროგრამებით ამარაგებს. ის ვერ ახორციელებს ტელეხედვის აუცილებელ ფუნქციებს: ინფორმაციულ, კულტურულ-შემეცნებით, ინტეგრაციულ, სოციალურ-პედაგოგიკურ, ორგანიზატორულ და საგანმანათლებლოს. რჩება მხოლოდ ერთი – რეკრეაციული ანუ გართობის ფუნქცია.

სახელისუფლო ტელეკომპანიები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან საკუთარი საინფორმაციო პოლიტიკით, გამოშვებების არქიტექტონიკით, სიუჟეტების აგების სტილით, ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. მათ ტელეენაც კი, იდენტური აქვთ. ამ მსგავსების არსი კი ის არის, რომ ფაქტობრივად ყველა წამყვანი არხი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს.

საქართველოს ტელესივრცის ამ სავალალო სურათს ვერ ცვლის ტელეკომპანიების – “მაესტროსა” და “კავკასიის” არსებობა, რომელთაც არც ფინანსურად და არც ტექნიკურად არ შესწევთ ძალა შეერკინონ მთავარ ტელეტრიადას.

აღარ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული “საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა” (შექმნილი 1997 წელს) და საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი.

გაუქმდა ენობრივი პრობლემებისადმი მიძღვნილი სატელევიზიო და რადიო გადაცემები. თვითდინებაზეა მიშვებული მართლმეტყველებისა და სალიტერატურო ნორმათა დაცვის საკითხი, არ არსებობს დადგენილ ნორმათა დამკვიდრების მექანიზმი. არ ხდება ახალ ნორმათა დადგენა სახელმწიფო დონეზე. უყურადღებოდაა მიტოვებული ტერმინოლოგიური საქმიანობა.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მედიის ენა. ენის დაბინძურებისა და უცხოენოვანი ლექსიკის ყოვლად უკონტროლოდ შემოტანა-გავრცელების თვალსაზრისით, განსაკუთრებით შეუწყნარებელი ვითარებაა ელექტრონულ მედიაში, მაგრამ ბევრს სცოდავს ბეჭდური პრესაც.

საგანგაშო მდგომარეობაა სარეკლამო და ქალაქგაფორმების სფეროებშიც.

## სახელოვნებო განათლების სისტემა

საქართველოს სახელოვნებო განათლების სისტემა არ არის დამოუკიდებელი მმართველი პოლიტიკური ძალისაგან, რაც ამ სისტემის პოლიტიზებას იწვევს.

უკიდურესად შეზღუდულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომია; ხშირად პოლიტიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე ინიშნებიან (“აირჩვიან”) პირები საკვანძო თანამდებობებზე. შესაბამისად ისინი საქმიანობენ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევის გზით. სავალალო მდგომარეობაშია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის სრულყოფილ

განხორციელებას. ეს ის აკადემიაა, რომელიც საბჭოთა კავშირში სწავლების მაღალი დონით იყო გამორჩეული. გაუქმდა ორი პროფესიული – თოიძის და ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი.

ჩატარდა სამუსიკო განათლების რეფორმა, რომელიც ხელისუფლებამ თვითონვე ყველაზე წარუმატებელ რეფორმად აღიარა. ამ რეფორმის შედეგად მოიშალა სამუსიკო განათლების სამი უწყვეტი რგოლი – სკოლა, სასწავლებელი და კონსერვატორია.

## 2. დღევანდელი მდგომარეობის შეფასება (სისტემური პრინციპები)

### ცნობიერება

1. კულტურა არ არის გაცნობიერებული, როგორც ადამიანური ყოფიერების აუცილებელი ფენომენი, სულიერების მთავარი წყარო; ის უმთავრესად გართობის და ბიზნესის სფეროდ აღიქმება.
2. არ არის გაცნობიერებული ქართული კულტურის დანიშნულება ეროვნულ იდენტობასთან და ქართული სახელმწიფოს მომავალთან მიმართებაში.

### სტრატეგია

1. სახელმწიფოს არ გააჩნია კულტურის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა და კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა.
2. კონცეფციის გარეშე დარჩენილი კულტურის ყველა სფეროში მიზანმიმართულად იქმნება “მართვადი ქაოსი”.
3. კულტურის ცნება დაყვანილია გასაყიდი პროდუქტის ცნებამდე და მხოლოდ ტურიზმის ინფრასტრუქტურაზეა მიბმული.
4. აქცენტი კეთდება ცალკეულ პროექტებზე და გრანტებზე და არა საზოგადოების ერთიანი კულტურული ცხოვრების სისტემის აგებაზე.
5. აშკარად იკითხება ოფიციალური კულტურის ჩამოყალიბების ტენდენცია.
6. ხელისუფლების სხვადასხვა ქმედების შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ცდილობს ამოაგდოს ქართული კულტურა თანამედროვე მსოფლიოს კულტურული სივრცის კონტექსტიდან.

### კანონმდებლობა

1. არ არსებობს კულტურის განვითარებისთვის ეფექტური საკანონმდებლო ბაზა.

2. არაეფექტურია “საქართველოს კანონი “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ”; მოსაძებნია ამ კანონის ცხოვრებაში განხორციელების გზები.
3. მოძველებულია “საქართველოს კანონი “მუზეუმების შესახებ”,
4. არ არსებობს კანონი ქველმოქმედების შესახებ.
5. არ არსებობს საგადასახადო პრივილეგიები კულტურაში ინვესტირების მსურველთათვის.
6. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებამოსილება მთლიანად გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს დამკვეთ და აღმასრულებელ ინსტიტუციას.
7. მოსაწესრიგებელია შრომის კანონმდებლობა.

### მართვის სტილი

1. კულტურის განვითარების სტრატეგიის არარსებობის ფონზე გამეფებულია მართვის ერთპიროვნული სტილი, ანუ ქვეყნის კულტურულ პოლიტიკას ერთი პიროვნება (უმთავრესად, უმაღლესი ხელისუფალი) განსაზღვრავს.
2. სრულად არ გამოიყენება საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალი.  
მოქალაქეებს არ ეძლევათ კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა.
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროცესი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
4. მმართველი პარტია უხეშად ერევა როგორც ორგანიზაციათა მართვაში, ასევე შემოქმედებით პროცესში.
5. პოლიტიკური ნიშნით ხდება კულტურის სფეროების მონოპოლიზაცია.
6. კულტურული სფეროს მართვა ხორციელდება ცენტრალიზაციის პრინციპით.

### დაფინანსება

1. ძალზე მცირეა, ევროკავშირის სტანდარტებთან შედარებით მიზერული, კულტურის სფეროს საბიუჯეტო დაფინანსება.
2. ხელოვანი სახელმწიფოს მხრიდან ფაქტობრივად დაუსაქმებელია, სოციალურად დაუცველია და შემოქმედისათვის აუცილებელი მოტივაციის გარეშეა დარჩენილი.
3. შემოქმედებითი კავშირები მხოლოდ ფლობენ სახელმწიფო ქონებას, მაგრამ აღარ ღებულობენ სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო თუ სხვა დახმარებას.

### 3. კულტურის პოლიტიკა – კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა

#### კულტურის ახალი პოლიტიკა

კულტურა ვერ განვითარდება მხოლოდ ცალკეული პროექტებით და გრანტებით – პროექტიდან პროექტამდე. მისი განვითარება უნდა ეყრდნობოდეს ჩამოყალიბებულ სტრატეგიას.

ქვეყნის კულტურის პოლიტიკა შესაბამისობაში უნდა იყოს სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიასთან, უნდა ეხმიანებოდეს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებას, სოციალური პრობლემების დარეგულირებას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და ჰუმანიზაციას.

ეროვნულ კულტურას, სახელმწიფოსთვის იმდენად სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები კულტურის ყველა დარგს შესაძლებლად მაქსიმალურ ფინანსურ თუ სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას უნდა უწევდეს, ისე, როგორც ამას ევროკავშირის ქვეყნები აკეთებენ, საიტკენაც ჩვენ მივისწრაფვით (ამგვარი მიდგომის საუკეთესო მაგალითია საფრანგეთი).

კულტურის პოლიტიკის ორი მთავარი მიზანია:

- 1. კულტურული წარსულის შენახვა – ისტორიული წარსულის და მემკვიდრეობის გადარჩენა და მოვლა-გაფრთხილება;*
- 2. კულტურული თანამედროვეობის განვითარება – თანამედროვე კულტურაში სიახლეების შექმნის ხელშეწყობა, მათი წარმოჩენა და გავრცელება.*

უნდა შემუშავდეს საგანგებო სახელმწიფო პროგრამა, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი:

- საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი კულტურული მოღვაწეობის და შემოქმედებით პროცესში მმართველი ძალის ჩაურევლობის უზრუნველყოფა;
- კულტურის სფეროში მონოპოლიზმის დაუშვებლობა;
- ხელისუფალთა მხრიდან ვოლუნტარიზმის და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების გამორიცხვა;
- კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის უზრუნველყოფა; კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელმისაწვდომობა და საჯაროობის შეუზღუდაველობა;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
- შემოქმედებითი თავისუფლების დაცვა;
- კულტურის დაცვა მასკულტურის გამანადგურებელი გავლენისაგან;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების მიხედვით;
- საქართველოში მცხოვრები ეთნოსების კულტურების წახალისება, მათი ჩართვა ერთიანი კულტურული პოლიტიკის განხორციელებაში.

ძირითადი პრინციპები:

- კულტურის სრულფასოვანი ცნების აღდგენა (ფოლკლორის მის მხოლოდ ერთერთ პლასტად აღიარება);
- კულტურის სფეროში დაფინანსების გაზრდა ევრო-კავშირის ქვეყნების ნიმუშის მიხედვით: სუბსიდიები, სტიპენდიები, ცენტრალური და რეგიონული დაფინანსება;
- კულტურის სფეროში, ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შემოღება : დაწესდეს საგადასახადო პრივილეგიები კულტურაში ინვესტირების მსურველთათვის;
- კულტურის ყველა სფეროს მომცველი სახელმწიფო კონკურსების დაფუძნება. ჩაკეტილი, ავტორიტარული კულტურული სივრცე შეიცვალოს ღია, მოზაიკური კულტურული სივრცით. ხელი შეეწყოს პლურალიზმს – დაფუძნდეს ფართო სპექტრის პროფესიონალებისაგან შემდგარი საბჭოები და კომისიები;
- გამოირიცხოს ოფიციალური კულტურის ჩამოყალიბება, შეწყდეს ერთი რომელიმე მიმდინარეობის ან ავტორის წახალისება მეორის საზიანოდ. აიკრძალოს ცენზურა;
- ტელევიზიაში დაფუძნდეს კულტურის არხი;
- პრესასა და მედიაში სახელმწიფო-საინფორმაციო პოლიტიკა წარიმართოს თანამედროვე ქართული კულტურული სპექტრის სრულად ასახვის მიზნით;
- ყველა ხელოვანს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თავის წარმოჩენისა და განვითარებისთვის.

კულტურის პოლიტიკა ცალკეული დარგების მიხედვით

### თეატრი

შეიქმნას თეატრის განვითარების კონცეფცია, რომელიც თეატრის ავტონომიურობას და იდეოლოგიისაგან გამიჯვნას შეუწყობს ხელს და ამავდროულად მისცემს მას განვითარების საშუალებას, როგორც ჯანმრთელ და თვითკმარ ორგანიზმს.

თეატრის დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს კანონმა თეატრის შესახებ. სახელმწიფო უნდა იყოს გამიჯნული თეატრის უშუალო მართვისაგან და სარეპერტუარო პოლიტიკიდან.

თეატრსა და სამინისტროს შორის ურთიერთობას უნდა არეგულირებდეს ხელშეკრულება, რომელიც დაიდება მათ შორის მინიმუმ 3 წლით.

ქველმოქმედება თეატრების მიმართ უნდა გათავისუფლდეს გადასახადებისაგან. თეატრების დაფინანსებაში უნდა თანამონაწილეობდეს სახელმწიფო და კერძო სექტორი. საჭიროა კულტურის სამინისტროს თეატრის დეპარტამენტთან დაარსდეს ხელოვნების ექსპერტთა საბჭო.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეროვნული პროექტის სტატუსის შემოღება, – ეს ექსპერტთა საბჭოს რეკომენდაციით, რომელიც განსაზღვრავს მისი წარდგენის განხორციელებისა და დაფინანსების პრინციპებს.

საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ქართული დრამატურგია და მისი სტიმულირება, როგორც ეროვნული პროექტი. განვიხილოთ საბავშვო თეატრი და მისი სტიმულირება, როგორც ეროვნული პროექტი.

აღორძინდეს რეგიონების თეატრალური ცხოვრება – მუნიციპალური თეატრები. რეგულარულად მოეწყოს დედაქალაქის თუ რეგიონების თეატრების გასტროლები საქართველოს მასშტაბით.

აღდგეს თოჯინებისა და მოზარდ-მაცურებელთა თეატრები.

აღდგეს სააბონენტო სისტემა.

შეიქმნას ახალგაზრდა შემოქმედთა ცენტრები, სადაც დარგობრივ მასტერკლასებს ქართველი თუ უცხოელი პროფესიონალები ჩაატარებენ.

## მუსიკა

მუსიკის დაფინანსებაში აუცილებელია ბიზნესის ჩართვა (ქველმოქმედების შესახებ კანონის მიღების გზით), რაც მხოლოდ ბიზნესის განთავისუფლების პირობებში იქნება შესაძლებელი. ამავე დროს, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლიც, განსაკუთრებით სახელმწიფო ორკესტრების დაფინანსებაში.

უნდა მოწესრიგდეს შრომის კანონმდებლობა: დღევანდელი მოკლევადიანი კონტრაქტები მუსიკოსებს ადვილად სამართავად და დამჭირავებელზე სრულად დამოკიდებულად აქცევს.

ფასადური პოლიტიკა უნდა შეიცვალოს მიზანდასახული პოლიტიკით, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული მუსიკალური ხელოვნების ამა თუ იმ დარგის განვითარებას.

შემუშავდეს პოლიტიკა კადრების გადინების ტენდენციის შესაჩერებლად.

## სახვითი ხელოვნება



საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახვითი ხელოვნების სფერო ვერ იარსებებს სახელმწიფოს თანადგომის გარეშე. ის დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული სისტემების გათვალისწინებითა და საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით უნდა განვითარდეს.

ხელოვნების დაფინანსება უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო ბაზით. კულტურის სფეროში ჩადებული თანხა ჩაითვალოს ქველმოქმედებად, რაც კერძო სექტორს დაბეგვრისაგან გაათავისუფლებს. ამგვარი საკანონმდებლო რეფორმა ხელს შეუწყობს ბიზნესისა და ხელოვნების ჯანსაღ თანამშრომლობას.

მონუმენტური ქანდაკებების დადგმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მხოლოდ საყოველთაოდ აპრობირებული კონკურსების სისტემით უნდა ხორციელდებოდეს.

საჭიროა შეიქმნას სახვითი ხელოვნების მხარდაჭერის პროგრამა საგამოფენო, საერთაშორისო ფორუმებზე მონაწილეობის, ახალგაზრდა ხელოვანთა სტიმულირებისა და სხვა პროექტების განხორციელებით.

საქართველოში არსებული ბუნებრივი მასალების (ფერადი თიხნარი, მარგანეცი, გიშერი და სხვა) ბაზაზე შეიძლება შეიქმნას სათანადო წარმოება – მასალათა მრავალფეროვნება და მოცულობა იძლევა ფერის დამამზადებელი ქარხნის გახსნის საშუალებას, – იმის გამო, რომ დღესდღეობით მსოფლიო ბაზარზე საღებავების პროდუქცია ლიმიტირებულია, ადვილი იქნება საღებავების ბაზრის პოვნა.

საჭიროა შეიქმნას სამჭედლო, საჩამომხსმელო, ქვისა და ხის დამამუშავებელი საამქროები, სადაც ჩამოისხმება ასლები, გამოიჭედება საყოფაცხოვრებო თუ სახელოვნებო ჭედური ნაკეთობები (ჩუქურთმები, რიკულები, ჭიშკრები, დარაბები და ა.შ.)

შესაძლებელია ეფექტურად გამოვიყენოთ საქართველოში თიხის წარმოების ისტორიული გამოცდილებაც და ამ ბაზაზე შეიქმნას საწარმო წითელი და თეთრი კერამიკის აღორძინებისათვის.

აუცილებელია ავადორძინოთ ქართული ტექსტილი, რომელიც უნიკალურია მსოფლიოში და ამდენად, დიდი მოგების მოტანაც შეუძლია.

## ლიტერატურა

საჭიროდ მიგვაჩნია აღდგეს და დაფინანსდეს ალმანახი “კრიტიკა”. ამაზე, შეძლებისდაგვარად, კულტურის სამინისტრომ უნდა იზრუნოს.

საჭიროა ვრცელი ლიტერატურული გამოცემის დაარსება, სადაც დღევანდელი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები დაიბეჭდება. ვფიქრობთ, ასეთი ჟურნალი ან გაზეთი სახელმწიფომ უნდა დააარსოს და შესაფერისი ჰონორარებიც დააწესოს.

საბავშვო ლიტერატურის ხელშეწყობის მიზნით, უნდა შედგეს ეროვნული საგამომცემლო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს მომავალი თაობისათვის გამოსაცემ ლიტერატურას. ეს გამოცემები სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს და შედარებით დაბალ ფასებში მიაწოდოს სკოლებს.

საყოველთაოდ აღიარებულია თარგმანის (როგორც უცხოური ენებიდან ქართულზე, ასევე პირიქით) მნიშვნელობა ერის სულიერი განვითარებისთვის. ამ მხრივ შეინიშნება გარკვეული წინსვლა, მაგრამ სრულყოფილი ლიტერატურული პროცესის წარმართვისათვის აუცილებელია შეიქმნას თარგმანის საგამომცემლო ცენტრი (ყოფილი თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების კოლეგიის მსგავსი), რომელიც განსაზღვრავს, რომელი კლასიკოსი მწერლის ნაწარმოები არ გვაქვს თარგმნილი, რომელი მნიშვნელოვანი წიგნები გამოიცა ბოლო დროს მსოფლიოში და მოამზადებს პირობებს მათი თარგმნისათვის, შეარჩევს მთარგმნელებს და უზრუნველყოფს თარგმნილი ლიტერატურის გამოცემას. მანვე უნდა იზრუნოს ქართული ენიდან მნიშვნელოვანი ნაწარმოებების უცხოურ ენებზე თარგმანისათვის და ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის მსოფლიოში. სასურველია ამავე ცენტრთან დაარსდეს თარგმანისთვის განკუთვნილი პერიოდული ჟურნალი (როგორც წარსულში “ზომლი” ან “საუნჯე”). აუცილებელია ყველა ეს საქმე, დასაწყისში მაინც, მატერიალურად სახელმწიფომ უზრუნველყოს.

აუცილებელია აღდგეს გაურკვეველი მიზეზებით გაუქმებული რუსთაველის პრემია.

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ქართველ მწერალთა სახლ-მუზეუმებს, საოჯახო არქივებს – ხელნაწერებს, ფოტო არქივს, აუდიო არქივს, მიმოწერას, ნივთებს, ყველაფერს, რაც ქართული ლიტერატურის ისტორიას შეადგენს. სასურველია, აღნიშნულ სახლ-მუზეუმებში მოეწყოს ადგილობრივ ლიტერატურის მოყვარულთა შეხვედრები თანამედროვე მწერლებთან, გაიმართოს ლიტერატურული საღამოები, კონკურსები, დაჯილდოებები და სხვა.

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვა ტელევიზიებში, აგრეთვე რადიოში სისტემატურად უნდა ეწყობოდეს ლიტერატურული გადაცემები მწერლების მონაწილეობით, გაეწიოს რეკლამა ახალ გამოცემებს, გაიმართოს შეხვედრები და დისკუსიები ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვან საკითხებზე.

ლიტერატურული პროცესის განვითარებისთვის აუცილებელია აღდგეს ბიბლიოთეკების დღეისათვის მოშლილი ქსელი.

## კინო

უნდა აღსრულდეს კანონი “კინოს განვითარების მხარდაჭერის შესახებ”, რის შედეგადაც მოხდება:

- ა. ფილმების მხატვრული და ტექნიკური ხარისხის ამაღლება;
- ბ. საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მეტი პროპაგანდა;
- გ. უცხოელი ინვესტორების დაინტერესება.

სასწრაფოააა შესაქმნელი მთელი ქართული კინოს საცავი – ფილმოთეკა (საერთაშორისო სტანდარტების დაცვით), სადაც აღირიცხება და შეინახება ყველა მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმი. (1992 წლამდე ქართული ფილმების დედნები ინახება რუსეთში – “გოსფილმოფონდი”, შემდგომ წლებში ნაწარმოები ფილმების ადგილსამყოფელი ძირითადად გაურკვეველია).

შეიქმნას ლაბორატორია, სადაც მოხდება ძველი ფირების აღდგენა-დამუშავება და ციფრული დაარქივება შემდგომი მრავალჯერადი გამოყენებისათვის.

შეიქმნას კანონი საგადასახადო შეღავათების შესახებ (უკვე არსებული რეკომენდაციების საფუძველზე), რაც გამოიწვევს უცხოელი კინომწარმოებლების მეტ დაინტერესებას და საქართველოში მოქმედ კინომწარმოებლებსაც მიეცემათ განვითარების საშუალება.

უნდა გაიზარდოს კინოთეატრების რაოდენობა საქართველოში:

ა. მოიხსნას კინოთეატრების ქსელის მონოპოლიზაცია, რაც შექმნის ჯანსაღი კონკურენციის პირობას.

ბ. კინოს კანონის დაცვა და კინოინდუსტრიაში სახელმწიფოს მიერ საგადასახადო შეღავათების დაწესება გამოიწვევს კინოთეატრებში მაყურებელთა რაოდენობის ზრდას.

გ. ფრანგული კანონმდებლობის გათვალისწინებით, შეტანილი უცხოური ფილმის კინოთეატრებში დისტრიბუციისას, მოგების გარკვეული პროცენტი უნდა მოხმარდეს ეროვნული კინოს განვითარებას.

უნდა დაიხვეწოს და ამოქმედდეს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კინოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ერთობლივი მონაწილეობით, აუცილებელია, შეიქმნას ეროვნული კინოთეატრი, თუნდაც მცირე რაოდენობის მაყურებლისათვის (100-120 კაცი), რომელიც გარდა საბილეთო, სააბონემენტო სისტემითაც იმუშავებს.

ამავე სივრცეში, უნდა მოეწყოს ფილმოთეკა და კინობიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისათვის (ასეთი ანალოგი ბევრ ქვეყანაში არსებობს). ეს აამაღლებს მაყურებლის კულტურას და გემოვნებას. სააბონემენტო სისტემას აქვს მარკეტინგული მნიშვნელობაც – ადამიანი, რომელიც ბავშვობიდან მიეჩვევა კინოთეატრში სიარულს, მომავალში იქნება ბილეთის პოტენციური მყიდველი.

საყურადღებოა სატელევიზიო არხების პოლიტიკაც, რომელთა მეშვეობით, სამწუხაროდ, უაღრესად დაბალ დონეზე დაეცა მოსახლეობის გემოვნება.

აუცილებელია, ჩამოყალიბდეს კულტურისა და განათლების არხები (არხი “კულტურა”) და სისტემად იქცეს ეროვნული კულტურის საუკეთესო ნამუშევრების პროპაგანდა ტელეარხების მეშვეობით.

საჭიროა კინოს ანალიტიკური შესწავლა და ფილმების ანალიზი პრესაში, რაც მოსახლეობას და განსაკუთრებით, პროფესიონალ კინემატოგრაფისტებს გემოვნების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანია ენობრივი (გახმოვანების და სუბტიტრების სტანდარტის) პრობლემების გადაწყვეტა.

კინოსტუდია “ქართული ფილმი” და მასში შემავალი სტუდია “მემატინანე” იურიდიულად სააქციო საზოგადოებას წარმოადგენს. ცნება “კინოსტუდია ქართული ფილმი” მოიაზრებდა კინოწარმოების სრულ პროცესს და თითოეული მოქალაქის ცნობიერებაში ის იდენტიფიცირებულია ქართული კინოს ფენომენტთან. სწორედ

ამიტომ, დღეს საჭიროა მათი სტატუსის და დანიშნულების ზუსტი განსაზღვრა. სახელმწიფოსთან ერთად მოსამეზობნა დაფინანსების და მართვის გზა.

აუცილებელია ეროვნული სტუდიის ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი მოვლენების გადაღება, დახარისხება და დაარქივება.

საჭიროა, აღდგეს ანიმაციური ფილმების სტუდიაც.

## არქიტექტურა

აუცილებელია, სასწრაფოდ შეწყდეს დღევანდელი მთავრობის მიერ თავსმოხვეული გაუაზრებელი ურბანული პროგრამები, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ჩვენი ქალაქების საარსებო გარემოს და გადაულახავ პრობლემებს უქმნის ქვეყნის ჯანსაღი ტერიტორიული განვითარების პერსპექტივას.

უნდა შეწყდეს ხელისუფლების მხრიდან მხატვრულ-შემოქმედებით საკითხებში და საავტორო უფლებებში ჩარევა; აუცილებელია საავტორო არქიტექტურის ხელშეწყობა.

საჭიროა შეიქმნას ქალაქგეგმარებისა და ქალაქმშენებლობის პროექტირებისა და კვლევის ინსტიტუტი, სადაც თავს მოიყრის ქალაქგეგმარებელთა ჯერ კიდევ შემორჩენილი კადრები.

აღდგეს მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზა. ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა განხორციელდეს საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული პროექტის მიხედვით.

აუცილებელია, შეწყდეს მშენებლობაში ინვესტორის როლის გაფეტიშების პრაქტიკა. ინვესტორი ქალაქის ინტერესის ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ.

სწორი არქიტექტურული მენეჯმენტით სწორად განისაზღვრება პროექტების შეფასების კრიტერიუმები და ეკონომიკური შესაძლებლობები, - აუცილებელია მუნიციპალური მშენებლობის სისტემაში მოყვანა. მუნიციპალური მშენებლობა აძლევს ბიძგს ახალ არქიტექტურულ მიმდინარეობებს და ახალი სახეების გამოჩენას.

ახალი არქიტექტურული იდეების აკუმულირების ერთ-ერთი საშუალებაა არქიტექტურული მუნიციპალური კონკურსები, რასაც სახელმწიფო მასშტაბი ჭირდება, - კერძო სექტორი სერიოზულ კონკურსებს ვერ ატარებს.

აუცილებელია სამშენებლო - არქიტექტურული კანონმდებლობის მოწესრიგება და ამუშავება.

აუცილებელია არქიტექტორთა ლიცენზირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მედია

ტელევიზიის მთავარი ამოცანაა საზოგადოების და არა ხელისუფლების ნდობის მოპოვება, რისთვისაც, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ტელევიზიის დეპოლიტიზაცია.

მაუწყებლები ვალდებული უნდა იყვნენ უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

გარანტირებული უნდა იყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისგან თავისუფლება.

დარეგულირდეს ენისა და მეტყველების პრობლემები ტელეეთერში.

რეგულარულად ხდებოდეს კულტურულ ღონისძიებათა და მოვლენათა სათანადო და პროფესიული გაშუქება.

და ბოლოს, ცალკე გვინდა გამოვყოთ სამი მნიშვნელოვანი კონკრეტული პროექტი:

1. ტელევიზიაში “კულტურის არხის” დაარსება.
2. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ინტეგრაციისა და კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფომ ითავოს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ბიენალეს დაარსება. ცნობილია, რომ მსოფლიოში რამდენიმე ბიენალე ეწყობა, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თანამედროვე ხელოვნების უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებს. ინტელექტუალურ კულტურაში ამგვარი მასშტაბური პროექტის ინიცირებით საქართველო მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს ევროპულ ცივილიზაციაში. (შესაძლებელია სახვითი ხელოვნების გარდა, ბიენალემ მოიცვას ასევე თეატრი, კინო, ლიტერატურა).
3. დაარსდეს თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც შეიძენს და საზოგადოების წინაშე წარადგენს თანამედროვე ქართული ხელოვნების ნიმუშებს. (ქართველ მხატვრებს დამუშავებული აქვთ ამგვარი მუზეუმის კონცეფცია). ამავე დროს, მუზეუმი შეიძლება იქცეს მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ კერად, თუ მასში განთავსდება ბ. ბიძინა ივანიშვილის პირადი კოლექცია. მუზეუმს, სადაც გამოფენილი იქნება პიკასოსა თუ ჰენრი მური ნამუშევრები, თვითონ ქვეყანაც სხვა განზომილებაში გადაჰყავს.